# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №45

ქ. ფოთი 20.10.2016წ.

## 1. ხელშეკრულების საგანი:

ერთის მხრივ, შ.პ.ს. ,,ფოთიქალაქტრანსპორტი" (ს/კ 215131569) შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი" მისი დირექტორის ბადრი ასათიანის სახით, და მეორეს მხრივ ი/მ ,,ზურაბ ქოიავა"ს (ს/კ 42001002662) სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი", ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი:

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება -ტაოტი

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია -24900000 – სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები.

ქვეკატეგორიის კოდი (CPV) კოდი -24951100 –ტაოტი(იხილეთ დანართი №1) .

## 3. ხელშეკრულების საფასური და ანგარიშსწორების წესი:

2.1. ი/მ ,,ზურაბ ქოიავა"მ ამ ხელშეკრულებით მიწოდებული საქონლის თანხა შეადგენს 10(ათ) ლარს;

2.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის საბოლოო ანაზღაურება განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

## 3. მხარეთა პასუხისმგებლობა:

3.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე

დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზარალს აანაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.2. მხარეთ ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს მათი მიზეზით ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ოდენობას;

## 4. ფორს-მაჟორი:

4.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრლების პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურებას;

4.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველის "ან/და„მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

## 5. დავის გადაჭრის წესი:

5.1. ამ ხელშეკრულების შესრულების დროს მხარეებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

5.2. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცეს საქართველოს საერთო სასამართლოს.

## 6.ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები:

7.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების დადგენილი ვადლებულებების სრულად შესრულებამდე 2016 წლის 20 ნოემბრამდე.

## 7.გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

8.1.ამ ხელშეკრულებაში დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოს ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერის დღიდან;

8.2.ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, იგი კარგავს ძალას, და მოქმედებას აგრძელებს ძალადაუკარგავი მუხლები დაპუნქტები;

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი ინახება „შემსყიდველთან", მეორე - „მიმწოდებელთან"

## 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა:

| „შემსყიდველი" | „მომწოდებელი" |
|---|---|
| შპს „ფოთიქალაქტრანსპორტი" | ი/მ „ზურაბ ქოიავა" |
| ფოთი ალმაშენებლის №12 | ფოთი შოთა მეგრელიშვილის. №30 |
| ს/კ 215131569 | ს/კ 42001002662 |
| საბანკო კოდი LBRTGE22 | ბანკის კოდი TBCBGE22, |
| GE29LB0115113951829000 | ა/ა № GE52TB7422336010100012, |
| | სს „თიბისიბანკი" |
| დირექტორი: /ბ.ასათიანი/ | ი/მ: /ზ. ქოიავა/ |

დანართი #1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

| | კატეგორია | საქონლის დასახელება | განზომილება | საქონლის რაოდენობა | ერთეულის ფასი ლარებში | საერთო ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 24951100 | ტაოტი (0,7 გრ) | ცალი | 1 | 10.00 | 10.00 |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |

ჯამი: 10.00

„შემსყიდველი"

შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„

დირექტორი: ბადრი ასათიანი

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12
სს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE29LB0115113951829000,
ს/კ № 215131569 ბ/კ LBRTGE22

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე

ი/მ „ზურაბ ქოიავა"
ფოთი შოთა მეგრელიშვილის №30
ს/კ 42001002662
ბანკის კოდი TBCBGE22,
ა/ა № GE52TB7422336010100012,
სს „თიბისი ბანკი"

ი/მ: /ზ. ქოიავა/